



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

ქუთაისი 4600, ირაკლი აბაშიძის გამზირი № 26
პარლამენტის სასახლე

ბრძანება № 103/3 21 03 2017 წ.

„საქართველოს პარლამენტის აპარატის სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად აპარატის სტრუქტურისა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2009 წლის 27 ივლისის №136/3 ბრძანებით დამტკიცებულ პარლამენტის აპარატის სტრუქტურასა და საშტატო განრიგში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის, 107-ე მუხლის „ლ“, „ჩ“ და „ჰ“ ქვეპუნქტების, 278-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის ნიკოლოზ ნათენაძის 2017 წლის 16 მარტის №3817 და №3818 წარდგინებების საფუძველზე:

1. „საქართველოს პარლამენტის აპარატის სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად აპარატის სტრუქტურისა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2009 წლის 27 ივლისის №136/3 ბრძანებით დამტკიცებულ პარლამენტის აპარატის სტრუქტურასა და საშტატო განრიგში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

ა) მე-18 მუხლის:

ა.ა) პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) მთავარი სპეციალისტი 4

გ) წამყვანი სპეციალისტი 11“;

ა.ბ) მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ა.გ) ბოლოს სიტყვები „სულ 30“ შეიცვალოს სიტყვებით „სულ 25“;

ბ) მე-19 მუხლის:

ბ.ა) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. არქივი

ა) არქივის უფროსი – განყოფილების უფროსი 1

ბ) მთავარი სპეციალისტი 1

გ) წამყვანი სპეციალისტი 1

დ) უფროსი სპეციალისტი 1

ე) სპეციალისტი 1“;

ბ.ბ) ბოლოს სიტყვები „სულ 19“ შეიცვალოს სიტყვებით „სულ 24“.

2. ბრძანება ძალაში შედის საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

ირაკლი კობახიძე